# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №394

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 18 ნოემბერი 2011 წელი

## 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული) თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით, შემდეგში ,,შემსყიდველი", მეორეს მხრივ, შპს ,,სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა", მისი დირექტორის გერმანე სალიას სახით - შემდეგში ,,მიმწოდებელი", ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 18 ნოემბრის №372 ბრძანების საფუძველზე შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი" მიაწოდებს სატელევიზიო მომსახურებას (შემდეგში ,,მომსახურება").

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სატელევიზიო მომსახურება.
2.3 სატენდერო განცხადების ნომერი - **SPA110027919** (ტენდერი არ შედგა);
2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა;
2.4 შესყიდვის კატეგორია – **92200000** - რადიო და სატელევიზიო მომსახურებები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 92220000 - სატელევიზიო მომსახურებები.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 სატელევიზიო მომსახურების ღირებულება შეადგენს **8000.00** (რვა ათასი) ლარს (იხ.დანართი №1), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- მომსახურების დაწყება 2011 წლის 18 ნოემბერს.
- მომსახურების დამთავრება - 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

## 5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია (№GL/MCT/1111-908 გაცემის თარიღი 15.10.2011წ. თანხით 400 ლარი, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაა 2012 წლის 3 თებერვლამდე) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

## 6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქ ფოთი<br>(ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) | შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა"<br>დირექტორი |
| თვითმმართველი ქალაქ ფოთის<br>საკრებულოს თავმჯდომარე | |
| ივანე საღინაძე | გერმანე სალია |
| მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12<br>სს „ლიბერთი ბანკი"–ს ფოთის ფილიალი | მის: ქ. ფოთი, რეკვიზიტს ქ. №22(იურიდიული მისამართი), მშვიდობის ქ №4<br>სს „თიბისი ბანკი" ფოთის ფილიალი |
| ა/ა GE94LB0120125805505000 ს/კ № 215138143<br>ბ/კ № LBRTGE22 | ა/ა №GE98TB0400000001467771 ს/კ 204405811<br>ბ/კ № TBCBGE22 |

დანართი №1

## სატელევიზიო მომსახურება

| მომსახურების დასახელება | მომსახურების დრო | რაოდენობა | ერთი წუთის ღირებულება | საერთო ღირებულება | მომსახურების გაწევის დრო | მომსახურების გაწევის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| საკრებულოს თავმჯდომარის გამოსვლა | არანაკლებ 40 წუთი | 2 | 43.75 | 3500.00 | 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით | თვითმმართველი ქალაქი ფოთი |
| საკრებულოს სხდომების გაშუქება | არანაკლებ 15 წუთი | 5 | 13.34 | 1000.00 | | |
| აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიში | არანაკლებ 40 წუთი | 2 | 43.75 | 3500.00 | | |
| | | | სულ: | 8000.00 ლარი | | |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა"
დირექტორი

ვერმანე სალია